შპს ქართულ-ინგლისური
სკოლა
„ბრიტანიკა“
საქართველო, 0141 თბილისი,
ჩარგლისქ. 65
ტელ: 2 60 69 27; 5 55 215084
**Britannica.ges@gmail.com**
WWW. Britannica.edu.ge

Georgian-English School
"Britannica" Ltd
65 Chargali str Tbilisi,
Georgia
Pho: 2 60 69 27
5 55 215084

---

ქ. თბილისი 17.07. 2025
№ 2- 54

# ბრძანება № 54

**შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების შეფასებისა და ამავე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ**

საფუძველი
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების ანალიზი და შეფასება;
2. 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
3. დაევალოს სკოლის ადმინისტრაციულ - საკანცელარიო საქმეთა მენეჯერს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში. (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 64 )

Tamar Maisuradze 01023003009
Digitally signed by Tamar Maisuradze
Date: 2025.10.03 14:58:52

თამარ მაისურაძე
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა
„ბრიტანიკას“ დირექტორი

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

დამტკიცებულია
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა„ბრიტანიკა“
დირექტორის მიერ
ბრძანება № 54 17.07. 2025

სკოლის დირექტორი Tamar Maisuradze 01023003009 Digitally signed by Tamar Maisuradze Date: 2025.10.03 14:59:33 /თამარ მაისურაძე/

## შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

# 2024-2025 სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები ანალიზი და შეფასება

-2025-

## შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

სკოლის, მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ქართულ-ინგლისურ სკოლა-„ბრიტანიკაში“, 2025 სასწავლო წლის 20-30 ივნისის პერიოდში განხორციელდა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგენეს ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა დაგეგმილი ამოცანების და აქტივობების შესრულების შემოწმება. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით, თითოეულ აქტივობას მიენიჭა სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ და საბოლოოდ, გაკეთდა განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

**სტრატეგიული მიზანი 1. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული პრინციების განვითარება**

| ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | ვერ შესრულდა | შენიშვნა |
| 1.1. სკოლის მართვაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპის გაუმჯობესება | 1.1.1. მოსწავლეთა თვითმართველობის ორგანიზებით საქველმოქმედო აქტივობების განხორციელება | | | | |
| | 1.1.2 პედსაბჭოს როლის გაძლიერება სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვანი გადაწყვეტლებების მიღებაში | | | | |
| | 1.1.3 კათედრების როლის გაძლიერება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში | | | | |
| | 1.1.4 მშობელთა სათათბიროს ჩართულობით სკოლის ეზოსა და სპორტული | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | | | | |
| 1.2 სკოლის საქმიანობის გამჭირვალეობის და ხელმისაწვდომობის ინსტრუმენტების დახვეწა. | 1.2.1 მოსწავლეთა თვითმართველობის ფეისბუქგვერდის შექმნა. | | | | |
| | 1.2.2 სკოლის googledrive-ის გამოყენება სასკოლო კურიკულუმის გაზიარებისთვის | | | | |
| | 1.2.3 google drive-ის გამოყენება სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების გაზიარებისთვის | | | | |

**სტრატეგიული მიზანი 2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება**

| ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | ვერ შესრულდა | შენიშვნა |
| 2.1 საგნობრივი კურიკულუმების უწყვეტი განახლება | 2.1.1 საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად საგნობრივი კურიკულუმების განახლება. | | | | |
| 2.2 სწავლა - სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა | 2.2.1მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის შედეგების გათვალისწინებით ტრენინგ-კურსების შემუშავება/ განხორციელება | | | | |
| | 2.2.2 | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსების განხორციელება | | | | |
| | 2.2.3.მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის საფუძველზე საგნობრივი კათედრების სასწავლო და სამოქმედო გეგმების შემუშავება. | | | | |
| | 2.2.4 მასწავლებელთა და მოსწავლეთა სასკოლო კონფერენციის ორგანიზება და გამოცდილების გაზიარება; მოსწავლეთა მონაწილეობა საგნობრივ ოლიმპიადებში და შედგების ანალიზი; ინგლისური ენის სასერთიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობა, შედეგების ანალიზი | | | | |
| 2.3.ინკლუზიური/დიფერენცირებული მიდგომების ხელშეწყობა | 2.3.1ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომებზე ტრეინინგის ჩატარება, | | | | |
| 2.4 სწავლა-სწავლების ხარისხის მექანიზმების განახლება. | 2.4.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის და ვერიფიკაციის გეგმა, სამუშაო ჯგუფის | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | დოკუმენტის შემუშავება | | | | |
| | 2.4.1 განახლებული ხარისხის მექანიზმების დანერგვა | | | | |

**სტრატეგიული მიზანი 3. ადამიანური რესურსების მართვის სისტემების განვითარება**

| ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | ვერ შესრულდა | შენიშვნა |
| 3.1 სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა | 3.1.1. საგნობრივი კათედრების და ადმინისტრაციული საჭიროებების გათვალისწინებით, კონკურსების ორგანიზება და ჩატარება<br>3.1.2 შერჩეულ თანამშრომლებთან ხელშეკრულებების გაფორმება | | | | |
| 3.2 თანამშრომლეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება | 3..2.1.თანამშრომელთა შეფასება არსებული მექანიზმის მიხედვით და უკუკავშირის მიცემა | | | | |
| | 3.2.2 საჭიროებათა კვლევის ჩატარება | | | | |
| 3.3თანამშრომელთა სამოტივაციო პოლიტიკის დახვეწა | 3.3.1თანამშრომელთა მოტივაციის მიზნით, ფულადი და მატერიალური პრემიების გაცემა | | | | |

## შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

### სტრატეგიული მიზანი 4. მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

| ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | შესრულდა | ნაწილობრი შესრულდა | ვერ შესრულდა | შენიშვნა |
| 4.1 მატერიალური, ციფრული რესურსების და ინფრასტრუქტურის განახლება განახლებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. | 4.1.1 სასწავლო სივრცეების და კაბინეტების საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა. | | | | |
| | 4.1.2 სკოლის ეზოს კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის განახლება | | | | |
| | 4.1.3 საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისი მატერიალური რესურსის განახლება. | | | | |
| 4.2 ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა. | 4.2.1 მდგრადობის დასკვნის მოპოვება | | | | |
| | 4.2.2. სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება | | | | |
| | 4.2.3 შრომის უსაფრთხოების სპეციალიტის მიერ ტრეინინგების ჩატარება | | | | |
| | **4.2.4.** საგანგებო სიტუაციების გეგმის შესაბამისად, უსაფრთხოების ტრენინგების ჩატარება | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 4.2.5. პესონალური დაცვის ოფიცერის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე სამუშაო შეხვედრების განხორციელება | | | | |
| | 4.2.6 სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების განახლება და შეთანხმება სამინისტროსთან | | | | |
| 4.3 თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვა და განვითარება | 4.3.1. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემების წარმოება | | | | |

**სტრატეგიული მიზანი 5. მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესება**

| ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | შესრულდა | ნაწილობრი შესრულდა | ვერ შესრულდა | შენიშვნა |
| 5.1 ექსტრაკურიკულური პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა | 5.1.1 მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სხვადასხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება | | | | |
| | 5.1.2 საბაზო საფეხურზე მათემატიკასა და ინგლისურ ენაში რემედიაციის პროგრამის განხორციელება | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5.2.მოსწავლეთა პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის პროგრამის ხელშეწყობა | 5.2.1 პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის - განახლება | | | | გაფორმდა მემორანდუმები კოლეჯებთან, თუმცა პროგრამის შინაარსობრივი განახლება არ მომხდარა. |

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

# 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

## შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

**სტრატეგიული მიზანი 1. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული პრინციების განვითარება.**

| ამოცანა | აქტივობა | ანგარიში | მტკიცებულება |
|---|---|---|---|
| 1.1.<br><br>სკოლის მართვაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპის გაუმჯობესება | 1.1.1.მოსწავლეთა თვითმართველობის ორგანიზებით საქველმოქმედო აქტივობების განხორციელება | 2024-2025 წელს ვერ მოხდა აღნიშნული აქტივობის ორგანიზება | |
| | 1.1.2<br><br>პედსაბჭოს<br><br>როლის გაძლიერება სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვანი გადაწყვეტლებების მიღებაში | სკოლის პედ. საბჭო ჩართულია ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების განხილვაში, როგორიცა სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც სკოლის დირექტორი ამტკიცებს სკოლისთვის მნიშვნელოვან აღნიშნულ დოკუმენტებს. ასევე ირჩევს კათედრის ხელმძღვანელებს და კლასის დამრიგებლებს. | პედსაბჭოს 1 ოქმი |
| | 1.1.3<br><br>კათედრების როლის გაძლიერება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში | საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ საგნობრივი კურიკულუმების განახლებას, დამხმარე რესურსების ვალიდაციას და სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე ფორმალურთან ერთად არაფორმალური აქტივობები/ ღონისძიებების დაგეგმვა-გახორციელებას. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 1.1.4 მშობელთა სათათბიროს ჩართულობით სკოლის ეზოსა და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | მშობელთა აქტიური ჩართულობით მოხერხდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმება და მოწესრიგდა სკოლის მიმდებარე ეზო-დაიგო ეზოს საფარი და განთავსდა ბაღის სკამები. იგეგმება ეზოს გამწვანება. რაც შეეხება სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მიმდინარე წელს ვერ მოხერხდა, თუმცა ეს აქტივობა კვლავ დღის წესრიგშია და მომავალი წლის სასკოლო გეგმაშიც იქნება გათვალისწინებული. | წერილი მუნიციპალიტეტს<br><br>სკოლის დირექტორის ანგა |
| 1.2 სასკოლის საქმიანობის გამჭირვალეობის და ხელმისაწვდომობის ინსტრუმენტების დახვეწა. | 1.2.1<br>მოსწავლეთა თვითმართველობის ფეისბიქგვერდის შექნა. | მიმდინარე წელს სკოლის თვითმართველობის ინიციატივით შეიქმნა ფეისბუქგვერდი, თვითმართველობის წევრების ჩართულობით შეიქმნა თვითმართველობის გერბი.<br><br>თვითმართველობის სოციალურ ქსელში განთავსებულია თვითმართველობის ინიციატივითა და ორგანიზებით განხორციელებული ღონისძიებები | https://www.facebook.com/brit.anik.as.mosts.avleta.tvitmmartveloba |
| | 1.2.2 სკოლის googledrive-ის გამოყენება სასკოლო კურიკულუმის გაზიარებისთვის | სკოლის googledrive-ზე განთავსდა სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რაც საშუალებას აძლევს საგნობრივ კათედრებს გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება | https://drive.google.com/drive/folders/180diSF9HIqcaIkEvbopbZxjbYZLNg51E |
| | 1.2.3 googledrive-ის გამოყენება სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების გაზიარებისთვის. | googledrive-ზე გამოქვეყნებულია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები, რაც ხელმისაწვდომს ხდის სკოლაში დასაქმებული ყველა პირი გაეცნოს სკოლაში მიმდინარე პროცესებს და პროცესების მიმდინარეობის წესებსა და პირობებს. | |

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

**სტრატეგიული მიზანი 2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება**

| ამოცანა | აქტივობა | ანგარიში | მტკიცებულება |
|---|---|---|---|
| 2.1 საგნობრივი კურიკულუმიების უწყვეტი განახლება | 2.1.1 საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად საგნობრივი კურიკულუმების განახლება | გასული სასწავლო წლის კურიკულუმებზე დაყრდნობით, მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით, საგნობრივ კათედრებზე მოხდა კურიკულუმების განახლება, შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმების ერთიანი ფორმა.  კათედრებმა იმსჯელეს თემატური ერთეულის დაგეგმვის პროცესში განსახორციელებელ აქტივობებზე და შუალედური სასწავლო მიზნების ფორმირებაზე. ასევე, ძირითად რესურსთან ერთად დამხმარე რესურსების შერჩევა/ვალიდაციაზე. | კურიკულუმის შევსების ინსრუქც<br><br>კათედრის პორტფოლიო |
| 2.2 სწავლა - სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების | 2.2.1მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის შედეგების გათვალისწინებით ტრენინგ- კურსების შემუშავება | მასწავლებლთა საჭიროებების კვლევის მიზნით შემუშავდა საჭიროებათა კვლევის კითხვარი. სკოლის დირექციის ხელშეწყობით , შიდა სასკოლო ტრენინგების დახმარებით განხორციელდა საგნობრივი კურიკულუმების შექმნა, ვერიფიკაციის სისტემების დანერგვა, სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული შეფასების კრიტერიუმების შედგენა. | საჭიროებათა კვლევის კითხვარ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დანერგვის ხელშეწყობა | 2.2.2 მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ტრენინგ- კურსების განხორციელება | ამ ეტაპზე გარე პროვაიდერების ჩართულობით მასწავლებლის უწყვეტი განვითარების ტრეინინგები არ ჩატარებულა. | |
| | 2.2.3 მასწავლებელთა და მოსწავლეთა შიდა სასკოლო კონფერენციის ორგანიზება და გამოცდილების გაზიარება. მოსწავლეთა მონაწილეობა საგნობრივ ოლიმპიადებში და შედგების ანალიზი;<br><br>ინგლისური ენის სასერთიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობა, შედეგების ანალიზი. | მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლის შიდა კონფერენცია ვერ განხორციელდა. მოსწავლეებმა კი მონაწილეობა მიიღეს სასტუმრო ,,ბილტმორში” ქი ქონსალთინგის- key consulting ლიდერთა სკოლის მიერ ორგანიზებული მოსწავლეთა ეროვნული კონფერენციაში.<br><br>ქართულ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკას” 8(1), 8(2) კლასის მოსწავლეებმა წარმატებით წარმოადგინეს თემები შემდეგი სახელწოდებით: ,, ხელოვნური ინტელექტი და განათლება, როგორ შეიძლება ტექნოლოგიებმა შეცვალოს სწავლების მეთოდები”, ასევე ,,რობოტიკა და ადამიანის მომავალი“.<br><br>მოსწავლეთა გარე შეფასების მიზნით, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მიეცათ რეკომენდაცია მონაწილეობა მიეღოთ კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდებზე- საზაფხულო სესია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კემბრიჯის საგამოცდო მომზადების პროგრამა სკოლის ინგლისური ენის კურიკულუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.<br><br>მონაწილეობა მიიღო 86 მოსწავლემ. ინგლისური კათედრამ გააკეთა მიღებული შედეგების ანალიზი. | მოსწავლის კონფერენცია<br><br>კემბრიჯის შედეგების ანალიზ |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2.3.ინკლუზიური/დიფერენცირებული მიდგომების ხელშეწყობა | 2.3.1 ინკლუზიურ/ დიფერენცირებულ მიდგომებზე ტრეინინგის ჩატარება | 2024-2025 სასწავლო წელს გარე პროვაიდერების ჩართულობით აღნიშნულ საკითხზე ტრეინინგი არ განხორციელებულა | |
| 2.4 სწავლა-სწავლების ხარისხის მექანიზმების განახლება. | 2.4.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის, ვერიფიკაციის გეგმისა და სამუშაო ჯგუფის დოკუმენტის შემუშავება | სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრა რისკების სისტემა, რომლის საფუძველზე შემუშავდა ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმა. გეგმის შესაბამისად განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი. ვერიფიკაციის შედეგები ასახულია ვერიფიკაციის დასკვნის ფორმებში. მომზადდა ვერიფიკაციის საბოლოო ანგარიში. | შემაჯამებელი დავალებები ვერი<br>ვერიფიკაციის გგმა<br>რისკების სისტემა<br>ხარისხის სამოქმედო გეგმა |
| | 2.4.2 განახლებული ხარისხის მექანიზმების დანერგვა | ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის მიერ მომზადებული წლიური ანგარიში წარმოადგენს 2024-2025 სასწავლო წლის ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ანალიზსს. ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული შიდა მექანიზმები უზრუნველყოფს სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდულ და სისტემურ შეფასებას მუდმივი განვითარებისთვის. ხარისხის შიდა მექანიზმების მუშაობის განსახორციელებლად შეფასდა | ხარისხის სპეციალისტის ანგ |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | პროცესების რისკ-ფაქტორები და შემუშავდა სამოქმედო გეგმა. სექტემბერის თვეში მოხდა ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის გაცნობა სკოლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისთვის და საგნობრივი კათედრებისთვის. განხორციელდა ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების მონიტორინგი და შეფასება, ხოლო შედეგები აისხა თითოეული პროცესისთვის შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმებში. მონიტორინგის ეტაპისათვის ინფორმაციის შეგროვების ძირითად მეთოდად გამოყენებული იქნა წინასწარ შემუშავებული მიზნობრივი კითხვარები, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მეთოდოლოგიური დოკუმენტების შესწავლა, სასკოლო გარემოს ვიზუალური დათვალიერება. | |

**სტრატეგიული მიზანი 3. ადამიანური რესურსების მართვის სისტემების განვითარება**

| ამოცანა | აქტივობა | ანგარიში | მტკიცებულება |
|---|---|---|---|
| 3.1 სასწავლო და ადმინისტრაციული პერსნალის მოზიდვა | 3.1.1. საგნობრივი კათედრების და ადმინისტრაციული საჭიროებების გათვალისწინებით, კონკურსების ორგანიზება და ჩატარება | კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, ვაკანტური ადგილების შესავსებად, სკოლა პერიოდულად აცხადებს **ღია კონკურსს**. ამ გზით სექტემბრის თვეში აყვანილნი არიან ქართული ენის, ისტორიის, ინგლისური ენის, მათემატიკისა და იაპონურის ენის მასწავლებლები | ოქმი-1<br>ოქმი-2<br>ოქმი-3 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 3.1.2 შერჩეულ თანამშრომლებთან ხელშეკრულებების გაფორმება | ყველა თანამშრომელთან, მათ შორის ახალ თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომის კანონმდებლობის , სკოლის დებულების და შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები | **შრომითი ხელშეკრულებები** |
| **3.2** თანამშრომლეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება | 3..2.1.თანამშრომელთა შეფასება არსებული მექანიზმის მიხედვით და უკუკავშირის მიცემა | ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომელთა შეფასების მექანიზმებს, რომლის შესაბამისად განხორცელდა ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შეფასება დირექტორის მიერ და ასევე მასწავლებლების შეფასება გაკვეთილზე დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით. | ადმინისტრაციული პერონალის შე<br>ტექნიკური პერსონალის შეფას<br>მასწავლებლის შეფასება-საგაკვეთ |
| | 3.2.2 საჭიროებათა კვლევის ჩატარება | შემუშავდა მასწავლებლის საჭიროებათა კვლევის კითხვარი, პერსონალის საჭიროების შესაბამისად გადამზადდა სკოლის ექიმი | საჭიროებათა კვლევის კითხვარი<br>ექიმის ტრეინინგი |
| 3.3 თანამშრომეთა სამოტივაციო პოლიტიკის დახვეწა | 3.3.1თანამშრომელთა მოტივაციის მიზნით, ფულადი და მატერიალური პრემიების გაცემა | წელს ფულადი პრემიები არ გაცემულა- | |

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

**სტრატეგიული მიზანი 4. მატერიალური, ციფრული რესურსების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**

| ამოცანა | აქტივობა | ანგარიში | მტკიცებულება |
|---|---|---|---|
| 4.1მატერიალური, ციფრული რესურსების და ინფრასტრუქტურის განახლება განახლებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. | 4.1.1სასწავლო სივრცეების და კაბინეტების საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა, | 2024-2025 სასწავლო წელს შეძენილია 10 ინდივიდუალური მერხი და 20 სკამი.<br>20 მასწავლებლის მაგიდა.საკანცელარიო ოთახის აღჭურვილობა. | **შესყიდვის დოკუმენტაცია**<br>შესყიდვა |
| | 4.1.2 სკოლის ეზოს კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის განახლება | მოხერხდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმება და მოწესრიგდა სკოლის მიმდებარე ეზო-დაიგო ეზოს საფარი და განთავსდა ბაღის სკამები. იგეგმება ეზოს გამწვანება. ასევე მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივითა და ხელოვნების მასწავლების ჩართულობის გალამაზდა სკოლის ეზო. | წერილი მუნიციპალიტეტს<br>https://www.facebook.com/photo?fbid=122123567636727090&set=pcb.122123568356727090<br><br>https://www.facebook.com/photo/?fbid=122123566748727090&set=pcb.122123568356727090<br><br>სკოლის დირექტორის ანგა<br><br>https://www.facebook.com/photo/?fbid=122123567552727090&set=pcb.122123568356727090 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 4.1.3<br>საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისი მატერიალური რესურსის განახლება | განახლდა სპორტის სასწავლო კურიკულუმისთვის საჭირო ინვენტარი. შეძენილია ფეხბურთის ბურთები და საჭადრაკო დაფები. | შესყიდვა |
| 4.2 ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა. | 4.2.1. მდგრადობის დასკვნის მოპოვება | ამ ეტაპზე არ გვაქვს | |
| | 4.2.2 სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება | ამ ეტაპზე არ გვაქვს | |
| | 4.2.3. შრომის უსაფრთხოების სპეციალიტის მიერ ტრეინინგების ჩატარება | სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალიტი, რომელიც ყოველ წელს საჭიროებების მიხედვით ახორციელებს სასკოლო საზოგადოების დატრეინინგებას. 2024-2025 სასწავლო წელსაც განხოციელდა მიზნობრივი ტრეინინგი. | |
| | 4.2.4. საგანგებო სიტუაციების გეგმის შესაბამისად, უსაფრთხოების ტრენინგების ჩატარება | წელს აღნიშნული ტრეინინგი არ ჩატარებულა | |
| | 4.2.5 პესონალური დაცვის ოფიცერის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებიზე სამუშაო შეხვედრების განხორციელება | 2024-2025 სასწავლო წელს სკოლამ აიყვანა პერსონალური დაცვის ოფიცერი, რომელმაც შეიმუშავა პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე ინციდენტებზე რეაგირების პოლიტიკა, თანხმობის ფორმები პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე. ასევე განხორციელდა პერსონალის სამუშაო შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან ცნობიერების | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ამაღლების მიზნით | |
| | 4.2.6 სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების განახლება და შეთანხმება სამინისტროსტან | 20204-2025 სასწავლო წელს, მრავალჯერადი მცდელობის შემდეგ მოხდა, სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანოზმების განახლებული დოკუმენტის შეთანხმება სამინისტროსთან | სამინისტროს წერილი-უსაფრთხ |
| 4.3 თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვა და განვითარება | 4.3.1. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემების წარმოება | სკოლაში დაინერგა საქმისწარმოების ელ. სისტემა, გადამზადდა ადმინისტრაციულ-საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი. 2024-2025 სასწავლო წლიდან საქმისწარმოება მიმდინარეობს ელ. დოკუმენტბრუნვის საშუალებით სქულბუქთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე | შპს ქართულ-ინგლისუ |

## სტრატეგიული მიზანი 5. მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესება

| ამოცანა | აქტივობა | ანგარიში | მტკიცებულება |
|---|---|---|---|
| 5.1 ექსტრაკურიკულური პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა | 5.1.1 მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სხვადასხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება | 2024-2025 სასწავლო წელს განხორციელდა სხვადასხვა შიდა სასკოლო ვიქტორინები და კონკურსებში.<br><br>მიმდინარე სასწავლო წელს კვლავ აქტიურობით გამოირჩეოდნენ საბუნებისმეტყველო საგნებისა და მათემატიკის მასწავლებლები. მათი ორგანიზებით, რამდენიმე ტურად ჩატარდა სახალისო ვიქტორინები საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით. ვიქტორინების მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეების მეტი დაინტერესება საბუნებისმეტყველო საგნებისა და ფიზიკა-მათემატიკის მიმართ. შედეგად, მოსწავლეები კიდევ უფრო მეტად დაინტერესებული არიან აღნიშნული საგნების მიმართ, რაზეც მოსწავლეების მაღალი | სკოლის დირექტორის ანგა<br><br>ეროვნული ოლიმპიადა<br><br>სასკოლო ღონისძიებები |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | შედეგები მეტყველებს. კერძოდ, ჩატარდა:<br>- ვიქტორინები საბუნებისმეტყველო საგნებში-VIII, IX XI კლასებში;<br>- ვიქტორინა მათემატიკასა და ფიზიკაში-IX კლასებში;<br>- კონკურსი-„რა,სად, როდის“;<br>- პრეზენტაცია „საქართველოს ოკუპაცია“ -X კლასი;<br>- პრეზენტაცია „ წყალი და ადამიანი“ – VIII კლასი;<br>პრეზენტაცია „გეომეტრიული ფიგურები არქიტექტურაში“ -IX კლასი;<br>ჩატარდა მრავალფეროვანი სასკოლო აღმზრდელობითი ღონისძიება, თუმცა აქტიურობა კვლავ მხოლოდ დაწყებითი საფეხურზე აღინიშნებოდა, თუ არ ჩავთვლით ორ მნიშვნელოვან და მაღალ დონეზე ჩატარებულ ღონისძიებას VII და VIII კლასის მოსწავლეების მონაწილეობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უმცროსკლასელები წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე საკმაოდ საინტერესო და დახვეწილი წარმოდგენებით; მათი არტიკულაცია სრულყოფილი და კარგად იყო დამუშავებული მასწავლებლების თავდაუზოგავი შრომის შედეგად. ღონისძიებების თემატიკა მოსწავლეების ასაკის გათვალისწინებით იყო შერჩეული და ინტეგრირებული იყო მუსიკისა და ხელოვნების საგნებთან. დაიგეგმა, რომ მომდევნო სასწავლო წელს საგნის მასწავლებლებმა სასწავლო წლის დასაწყისშივე კონკრეტულად და სწორად უნდა დაგეგმონ ღონისძიებები და შესაბამისად, იმუშაონ მოსწავლეების მოტივაციის ასამაღლებლად. აუცილებლად გასათვალისწინებელია საბაზო საფეხურის აქტიური ჩართულობა | საქალაქო ოლიმპიადები<br><br>კემბრიჯის შედეგების ანალიზ<br><br>[https://www.facebook.com/brit.anik.as.mosts.avleta.tvitmmartveloba](https://www.facebook.com/brit.anik.as.mosts.avleta.tvitmmartveloba) |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ღინისძიებებში.<br>საშუალო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული ეროვნულ სასწავლო ოლიპიადაში. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით, ოლიმპიადაზე მონაწილეობის სურვილი გამოხატა უფრო მეტმა მოსწავლემ და შედეგებიც საკმაოდ მაღალი იყო.<br>სკოლამ მონაწილეობა მიიღო<br>✓ “TIMSS -მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევაში;<br>✓ KINGS- ის მიერ ორგანიზებულ ოლიმპიადაში ქართულ ენაში, ინგლისურ ენასა და მათემატიკაში;<br>„ევერესტი“-ს მიერ ორგანიზებულ მათემატიკურ ოლიმპიადაში.<br>მოსწავლეთა გარე შეფასების მიზნით, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მიეცათ რეკომენდაცია მონაწილეობა მიეღოთ კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდებზე-საზაფხულო სესია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კემბრიჯის საგამოცდო მომზადების პროგრამა სკოლის ინგლისური ენის კურიკულუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.<br>მონაწილეობა მიიღო 86 მოსწავლემ.<br>სპორტისა და ფიზიკური კულტურის მასწავლებლის ინიციატივითა და თვითმართველობის აქტიური ჩართულობით ჩატარდა<br>✓ სასკოლო სპორტული ტურნირი კარატეში;<br>✓ სასკოლო სპორტული შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში;<br>✓ სასკოლო შეჯიბრი ფეხბურთში | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | მონაწილეობდნენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. დასახელდნენ გამარჯვებულები, რომელთაც გადაეცათ სიგელები და მედლები.<br>სკოლის დირექციამ კვლავ განაახლა ტრადიცია ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მიწვევა სკოლაში. მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი მოვლენაა ჩვენი სკოლის ცხოვრებაში. კერძოდ, სკოლის მოსწავლეებთან საინტერესო შეხვედრა გამართეს:<br>ფილოსოფოსმა ლევან ღამბაშიძემ,<br>ლიტერატორმა, პროფესორმა ლევან ბერძენიშვილმა,<br>ფილოლოგმა გია მურღულიამ. | |
| | 5.1.2<br><br>საბაზო საფეხურზე მატემატიკაში რემედიაციის პროგრამის განხორციელება | საჭიროებიდან გამომდინარე მე-8 კლასის მობილობით გადმოსული მოსწავლეებისთვის შემუშავდა სარემედიაციო პროგრამა მათემატიკაში | რემედიაციის პროგრამა<br><br>რემედიაციის პროგრამის ანგარ |
| 5.2 .მოსწავლეთა პროფორიენტაციის და კარიერული განვითარების მექანიზმების გაუმჯობესება | 5.2.1 პროფორიენტაციისა დაკარიერული დაგეგმვის პროგრამის - განახლება | მიმდინარე სასწავლო წელს, მოსწავლეებისათვის კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლასა და პროფესიულ კოლეჯებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. კერძოდ,<br><br>პროფსეიული კოლეჯი „ორიენტირი“; | მემორანდული |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | პროფესიული კოლეჯი „მერმისი“ | |

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმით არ იყო გათვალსიწინებული სკოლაში მაშტაბური სარემონტო სამუშაოების განხორციელება, თუმცა სკოლის ვიზუალური მხარისა და სანიტარული კვანძების ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ დაიგეგმა და მიმდინარეობს სკოლის შიდა ინტერიერის სარემონტო სამუშაოები/განახლება /გაუმჯობესება. 2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში მოსწავლეებს დახვდებათ კიდევ უფრო სასიამოოვნო გარემო.

სკოლაში მიმდინარეობს:

- საკლასო ოთახების კოსმეტიკური განახლება
- იატაკის განახლება
- საპირფარეშოების სრული დემონტაჟი- კანალიზაციის მილებისა და საჰაერო სავენტილაციო გაყვანილობის ცვლილება, ახალი უნიტაზებისა და კაბინების მონტაჟი.

2024-20245სამოქმედო გეგმის შეფასება

| დაგეგმილი აქტივობების რაოდენობა | სრულად შესრულებული აქტივობების როდენობა | ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების რაოდენობა | შეუსრულეებლი აქტივობების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 32 | 22 | 3 | 7 |
| 100% | 68,7% | 9.3% | 21,.8% |

მოცემულ მონაცემთა ანალიზით ნათლად ჩანს, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უმეტესობა(68.7%) სრულად შესრულდა , ასევე გარკვეული აქტივობების ნაწილი (9.3%) ნაწილობრივ, რაც გვაძლევს საშუალებას 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა შეფასდეს დადებითად.

| პრობლემა | პრობლემის აღწერა სათანადო მაგალითებით | იდენტიფიცირებული პრობლემის მნიშვნელობა |
|---|---|---|
| მატერიალური რესურსების და | 1. სკოლას არა აქვს დასკვნა შენობა- | ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად მნიშვნელლოვანია შენობის მდგრადობისა და |

| | | |
|---|---|---|
| **ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება** | ნაგებობის მდგრაგობის შესახებ<br>2. სკოლას არა აქვს დასვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ<br>3. საგანგებო სიტუაციების გეგმის შესაბამისად, უსაფრთხოების ტრენინგების ჩატარება.<br>**შესრულების მაჩვენებელი 0%** | სახანძრო უსაფრთხოების დასკვნების არსებობა დასკვნების არსებობა. |
| **1.1.სკოლის მართვაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპის გაუმჯობესება** | 1.1.1.მოსწავლეთა თვითმართველობის ორგანიზებით საქველმოქმედო აქტივობების განხორციელება<br><br>**შესრულების მაჩვენებელი 0%**<br><br>1.1.4 მშობელთა სათათბიროს ჩართულობით სკოლის ეზოსა და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება<br><br>**შესრულების მაჩვენებელი 50%** | აღნიშნული აქტივობას ხშირად მართავს სკოლა, 2024-2025 სასწავლო წლისთვიისაც განსაზღვრული იყო, თუმცა თვითმართველობამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ განახორციელა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითმართელობის ორგანიზებით ბევრი საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობები განხორციელდა. სკოლის შეფასებით , სასურველია დაგეგმილი აქტივობა განხორციელებულიყო, რამდენადაც ასეთი ტიპის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში ემპათიის გრძნობის გამომუშავებას.<br><br>მშობელთა ჩართულობით განხორციელდა სკოლის ეზოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ხოლო სპორტულ ინფრასტრუქტურაში ცვლილება ჯერ ვერ განხორციელდა, რაც მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში კვლავ გაიწერება. |

| | | |
|---|---|---|
| **2.2 სწავლა - სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა** | 2.2.2 მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსების განხორციელება<br><br>2.3.1<br><br>ინკლუზიურ/ დიფერენცირებულ მიდგომებზე ტრეინინგის ჩატარება<br><br>**შესრულების მაჩვენებელი 0%** | აქტივობის ძალიან მნიშვნელოვანია. 2024-2025 სასწავლო წელს ძირითადა შიდა ტრეინიგებით შემოვიფარგლეთ .<br><br>დიფერენცირებული მიდგომების მიმართულებით ტრეინიგის ჩატარება მნიშვნელოვანია, რამდენადაც თითოეულ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით მოხდეს საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა. |
| **3.3 თანამშრომელთა სამოტივაციო პოლიტიკის დახვეწა** | 3.3.1<br><br>თანამშრომელთა მოტივაციის მიზნით, ფულადი და მატერიალური პრემიების გაცემა<br><br>**შესრულების მაჩვენებელი 0%** | აქტივობა მნიშვნელოვანია, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიმართულებით, რაც მომდევნო სასწავლო წელს განხორციელდება. |
| **5.2 საბაზო საფეხურზე მათემატიკაში რემედიაციის პროგრამის განხორციელება** | 5.2.1 პროფორიენტაციისა დაკარიერული დაგეგმვის პროგრამის -განახლება<br><br>**შესრულების მაჩვენებელი 50%** | პროგრამის ფარგლებში გაფორმდა მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები კოლეჯებთან.<br><br>პროგრამის შინაარსობრივი განახლება ვერ მოხერხდა. |

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

**2024-2025 სასწავლო წლის**

**შედეგების SWAT ანალიზი**

| S ორგანიზაციის ძლიერი მხარე: | W ორგანიზაციის სუსტი მხარე: |
|---|---|
| 1.უსაფრთხო სასკოლო გარემო;<br><br>2. განახლებული საგნობრივი კურიკულუმები, საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობაში. ინგლისურ ენის გაძლიერებული პროგრამის განახლებული კურიკულუმები.<br><br>4. Cambridge International Exams-მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა და მაღალი შედეგები.<br><br>5. არაფორმალური განათლების ფარგლებში ჩატარებული მრავალფეროვანი ღონისძიებები.<br><br>6. სადიაგნოსტიკო წერა IV-VI-IX კლასებში<br><br>7. ეროვნულ ოლიმპიადაში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა<br><br>8. TIMSS -მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევაში ჩართულობა.<br><br>9. საქალაქო ოლიმპიადებში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა<br><br>10. სკოლის კურსდამთავრებულთა მაღალი აკადემიური შედეგები ეროვნულ გამოცდებზე.<br><br>11. განახლებული სკოლის შიდა სივრცე-გარემონტებული ოთახები, შეცვლი იატაკის საფარი, სრულად რეკონსტრურებული საპირფარეშოები.<br><br>12, განახლებული მიმდებარე ეზო, ახალი მოასფალტებული საფარით. | 1. შენობის მდგრადობის დასკვნა<br><br>2. სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა<br><br>3. სპორტული ინფრასტრუქტურა |

| | |
|---|---|
| **O ორგანიზაციის შესაძლებლობები:**<br><br>1. პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა.<br>2. მოსწავლეების აქტიური ჩართულობა და სკოლის ბაზაზე ინგლისურ ენაში მათი მომზადება საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდებისთვის.<br>3. სასწავლო პროცესის წარმართვა მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. (ქეისებით სწავლება, პროექტული სწავლება, დილემებით სწავლება)<br>4. ციფრული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება სასწავლო პროცესში.<br>5. სპორტული აქტივობები, რომელიც მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრებით უზრუნველყოფას უწყობს ხელს. | **T მოსალოდნელი საფრთხე:**<br><br>1. საკანონმდებლო ცვლილებები.<br><br>2. გაუთვალისწინებელი საკადრო ცვლილებები.<br><br>3. ფასების ზრდის ფონზე ფინანსური არასტაბილურობა. |